№848 2015 წლის 22 აპრილი ქ. თბილისი

ცალკეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის შესახებ

1. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 15^1 მუხლის თანახმად, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე:

ა) „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის (საქართველო)“ (ს/ნ 204992785) საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 39537.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: გარდაბანი, სოფელი ქესალო, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 81.16.03.629, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

ბ) „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის (საქართველო)“ (ს/ნ 204992785) საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 125935.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: გარდაბანი, სოფელი ქესალო, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 81.16.03.626,

მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზ-რუნველყოს მის კომპეტენციაში შემავალი შესაბამისი სარეგისტრაციო ქმედებების კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**